



სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

16 06 2016 წ.

ბრძანება N 2-124

სსიპ ქალაქ თბილისის №136 სკოლის დირექტორის 2016 წლის 13 ივნისის “სსიპ – ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის შესახებ” N2-120 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

სსიპ – ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის შესახებ

1. ცვლილება შევიდეს სსიპ ქალაქ თბილისის №136 სკოლის დირექტორის 2016 წლის 13 ივნისის „სსიპ – ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის შესახებ“ N2-120 ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „1. დაენიშნოს საშემოდგომო გამოცდები სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რომელთაც ვერ დაძლიეს კონკრეტული საგნის/საგნებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე, დანართის შესაბამისად“;
- 2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს (ნატო მაისურაძე) ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
- 3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
- 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

საფუძველი: სსიპ – ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის 2016 წლის 15 ივნისის N680812 მოხსენებითი ბარათი.

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორი:



*[Handwritten signature]*

/ელზა ბადაშვილი/